

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2017 წლის ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2017 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი, რაც ითვალისწინებდა პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასებას, ტექნიკურ ექსპერტიზასა და ხარვეზების დადგენის შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99 /ნ ბრძანებაში შესული ცვლილებების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის N 94 ბრძანებით დამტკიცდა ავტორიზაციისთვის მზადების ღონისძიებათა გეგმა და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებით, სკოლების დეკანებით და სხვა პასუხისმგებელი პირებით.

შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დაიწყო მუშაობა სტანდარტების შესრულების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კონკრეტულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირებთან სამუშაო შეხვედრებზე განიხილებოდა ავტორიზაციის სტანდარტები, შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები, მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. იმართებოდა რეგულარული შეხვედრები აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სხვ. დაინტერესებულ პირებთან. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადდა ცვლილებების პროექტები და წარედგინა რექტორს, ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს. სკოლებმა განაახლეს საგანმანათლებლო პროგრამები. შემუშავდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები. დაიხვეწა კვლევის ინსტრუმენტები და სხვ.

ადმინისტრაციის თანამშრომლები პერიოდულად ესწრებოდნენ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს ავტორიზაციის სტანდარტებთან და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით.

2017 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში (მობილობის პროცესის

ადმინისტრირება, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარების შევსება, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის განხილვა, კონფერენციები „აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია“, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმა: შედეგები და შემდეგი ნაბიჯები“ და სხვ.).

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარები; საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები; ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში.

უნივერსიტეტი ჩართული იყო გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში მობილობის პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა მობილობის მსურველი სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცედურებში.

2017 წელს სააკრედიტაციოდ მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. საბაკალავრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“
2. სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“
3. სადოქტორო პროგრამა „სამართალი“
4. საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“
5. საბაკალავრო პროგრამა „ტურიზმი“
6. საბაკალავრო პროგრამა „ფინანსები და საბანკო საქმე“
7. სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“

2017 წელს აკრედიტაცია მიიღო შემდეგმა საგანმანათლებლო პროგრამებმა:

1. საბაკალავრო პროგრამა: „საერთაშორისო ურთიერთობები“
2. სამაგისტრო პროგრამა: „საერთაშორისო ურთიერთობები“

სამართლის სადოქტორო პროგრამაზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

2017 წელს განხორციელდა 5 სადისერტაციო ნაშრომის დაცვა. დაცული იყო 69 სამაგისტრო ნაშრომი (სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება).

2017 წლის განმავლობაში განახლდა–განვითარდა ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსი, სასწავლო მასალები; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო ახალი/განახლებული სახელმძღვანელოებით. განხორციელდა სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის პროექტები; სასწავლო პროცესის მართვის სისტემას დაემატა ახალი სერვისები; ჩატარდა სტუდენტთა XXV სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალები გამოიცა ბროშურის სახით.

მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით ჩატარდა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი(ებ)ი.

2017 წელს გაფორმდა მემორანდუმები საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან,

ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან, თომას ჯეფერსონის კვლევით ცენტრთან, საქართველოს დემოკრატიული განვითარების სააგენტოსთან, შპს ტექსერვისთან, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან, სასტუმროთა ქსელთან „ამბასადორი“, შპს „ზეარისონ“, ორგანიზაციასთან „ახალი თაობა უკეთესი მომავლისათვის“, ააიპ „სამართლიანობა და განვითარება“-სთან და სხვ. განახლდა/გაფორმდა ხელშეკრულებები კლინიკურ ბაზებთან (შპს კანისა და ვენერიულ სნეულებათა ეროვნული ცენტრი, შპს ნიუ ჰოსპიტალსი, ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკა და სხვ.)

უნივერსიტეტის დაფინანსებით პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობდნენ სოციალური მნიშვნელობის, გამწვანების და დასუფთავების აქციებში. ბავშვთა და მზრუნველობამოკლებულთა სახლებში აწყობდნენ ღონისძიებებს.

წლის განმავლობაში სტუდენტების მხარდასაჭერად სდასუ-ს ქართულ-ინგლისურ სტომატოლოგიურ კლინიკაში პერიოდულად ტარდებოდა აქციები, რომლის ფარგლებშიც კლინიკის პერსონალი ფასდაკლებით ემსახურებოდა უნივერსიტეტის სტუდენტებს.

ჩატარდა თემატური სემინარები, საინფორმაციო შეხვედრები დაუნის სინდრომის, ტუბერკულოზთან ბრძოლის, მუშუს კიბოს, პირის ღრუს მოვლის, აუტიზმის, ბავშვთა დაცვის, ნარკომანიასთან ბრძოლის, დიაბეტის, შიდსთან ბრძოლის, შშმ მსოფლიო დღეების და სხვ. აღსანიშნავად.

სტუდენტები და პერსონალი მონაწილეობდა ინტელექტუალურ, კულტურულ ღონისძიებებში, საპარლამენტო უმრავლესობის წევრების ვიზიტის ფარგლებში კონსტიტუციის პროექტის განხილვაში. სსიპ საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში უნივერსიტეტმა სამართლის სკოლის ყველა სტუდენტისათვის შეიძინა ვაუჩერები.

მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა სტუდენტებისათვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციები, შეხვედრები საზოგადოების გამოჩენილ წარმომადგენლებთან. იმართებოდა ინტელექტუალური თამაშები, პოეზიის სადამოები, სპექტაკლები, წიგნების პრეზენტაციები. სტუდენტები მონაწილეობდნენ სპორტულ ღონისძიებებსა და მარათონში. ჩატარდა კომინალისტიკის სასერტიფიკატო კურსები, იმიტირებული სასამართლო პროცესები.

2017 წელს უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პერსონალმა მონაწილეობა მიიღო სისხლის უანგარო დონაციებში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა პირველკურსელთა მისაღები სადამო და საახალწლო კარნავალი.

წლის განმავლობაში ტარდებოდა უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე მიმართული PR-კამპანიები და სარეკლამო აქციები.